ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6433015

ნომერი: AR1958046

თარიღი : 30.03.2023

გაცემის თარიღი : 26.04.2023

გაცნობის თარიღი : 26.04.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვიქტორ კუპრაძის ქუჩა , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მამისაშვილი პ/ნ 01021001076
- ქ. თბილისი, ავშნის ქ. #126

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5823542 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 30 მარტს №AR1958046 განცხადებით მომართა ლევან მამისაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 28

თებერვლის №5823542 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5823542 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №4-ში მდებარე №01.19.36.014.159 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 15 მარტის №5847559 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 15 მარტიდან 2023 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5823542 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან სარდაფის 390.4 კვ.მ. ფართობის ამოღება. ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 2058.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2369.6 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 665.0 კვ.მ-ის ნაცვლად 687.8 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 380.4 კვ.მ-ის ნაცვლად 427.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 248.2 კვ.მ-ის ნაცვლად 523.8 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 668.4 კვ.მ-ის ნაცვლად 46.5 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 358.8 კვ.მ-ის ნაცვლად 682.13 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 4769.2 კვ.მ-ის ნაცვლად 4737.03 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, -2.5 და 0.00 ნიშნულების გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ ამავე ნიშნულების გეგმებზე ფართობების დაზუსტება და ტექნიკური შეცომების გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5823542 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5823542 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნეს სარდაფის 390.4 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 2369.6 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 687.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 427.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 523.8 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 46.5 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 682.13 კვ.მ., საერთო ფართობად - 4737.03 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5823542 ბრძანებით შეთანხმებული -2.5 და 0.00 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5823542 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5823542 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.